საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 677/01
26/01/2022

677-01-2-202201261103

ფ/პ ეკატერინე აბესაძეს

მის: ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. №52ბ

ელ: ფოსტა: qetevangviniashvili@gmail.com

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 10 იანვრის N166 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 11 ნოემბრის N11714/01 წერილით გეცნობათ, სამინისტროში წარმოდგენილი იქნა ააიპ. ,,ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს“ წერილი, რომლის თანახმად, ა.(ა).ი.პ. ,,ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს“ უფროსის 2021 წლის 09 თებერვლის N№10.44210402 ბრძანებით, ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N52ბ-ში, მოქალაქე ეკატერინე აბესაძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 03.01.21.597) ავტოგასამართი სადგურის მშენებლობაზე გაიცა შესაბამისი ნებართვა. ამასთან, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ფ/პ ეკატერინე აბესაძე დაჯარიმდა სანებართვო პირობების დარღვევის გამო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, კერძოდ, მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავი) მოწყობისათვის შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს

მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე